თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის

რექტორი

პროტოპრესვიტერი გიორგი ზვიადაძე, თეოლოგიის, ფილოლოგიისა და პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ბ ი ო გ რ ა ფ ი ა

პროტოპრესვიტერი გიორგი ზვიადაძე დაიბადა 1963 წლის 22 ივნისს, წყალტუბოს რ-ის სოფ. გუმბრინში.

მოინათლა 1967 წელს.

1976 წლიდან იზრდებოდა ქ. ხაშურის რკინიგზის #1 ბავშვთა სახლში.

1980 წელს დაამთავრა ქ. ხაშურის რკინიგზის #4 საშუალო სკოლა.

1992 წელს წარჩინებით დაასრულა თბილისის სასულიერო სემინარია.

1996 წელს წარჩინებით დაასრულა თბილისის სასულიერო აკადემია.

1992 წლიდან ეწევა სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების რესპუბლიკურ ინსტიტუტში, ეროვნულ უნივერსიტეტში.

1996 წლის 6 მაისს ქვაშვეთის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის მიერ ხელდასხმულ იქნა დიაკვნად.

1996 წლის პირველ ივნისს დიაკონი გიორგი ზვიადაძე დაინიშნა თბილისის სასულიერო სემინარიის დეკანად.

1996 წლის 18 აგვისტოს სიონის საკათედრო ტაძარში სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის მიერ ხელდასხმულ იქნა მღვდლად და დაინიშნა გლდანის ლომისის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის მოძღვრად.

1997 წლის 20 მაისს დაინიშნა თბილისის სასულიერო აკადემიის საღვთისმეტყველო ფაკულტეტის დეკანად.

1997 წლის პირველ ივნისს, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ბრძანებით, დაინიშნა თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის პრორექტორად.

1997 წლის 14 ოქტომბერს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის მიერ აღყვანილ იქნა დეკანოზის ხარისხში და დაჯილდოვდა ოქროს ჯვრით.

1997 წლის 14 თებერვალს, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, დაინიშნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული მეცნიერების ისტორიის შემსწავლელი საზოგადოების საღვთისმეტყველო განყოფილების თავმჯდომარედ.

1998 წელს დაასრულა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის ასპირანტურა ძველი ქართული ლიტერატურის სპეციალობით.

1998 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ვიზიტის დროს, დეკანოზი გიორგი ზვიადაძე ანტიოქიის მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლობის მიერ დაჯილდოვდა გამშვენებული ჯვრით.

1998-2000 წლებში, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, დაინიშნა საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენლად განათლების სამინისტროსთან არსებულ რელიგიის ისტორიის სასწავლო-მეთოდურ საბჭოში.

1999 წლიდან დეკანოზი გიორგი ზვიადაძე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის მიერ დაინიშნა საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენლად რომის კათოლიკურ ეკლესიასა და მართლმადიდებელ ეკლესიას შორის საღვთისმეტყველო დიალოგის ერთობლივ საერთაშორისო კომისიაში.

2000 წელს, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ბრძანებით, დეკანოზი გიორგი ზვიადაძე დაინიშნა სიონის ღვთისმშობლის მიძინების საპატრიარქო ტაძრის მღვდელმსახურად.

2001 წელს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა, ილია II-მ დეკანოზი გიორგი ზვიადაძე დანიშნა და დღემდე არის საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენელი ანგლიკანურ ეკლესიასა და მართლმადიდებელ ეკლესიას შორის საღვთისმეტყველო დიალოგის ერთობლივი საერთაშორისო კომისიისა.

2002 წლის პირველ ივნისს, წმინდა ნინოს ხსენების დღეს, დეკანოზი გიორგი ზვიადაძე ეკლესიაში ერთგული მსახურებისათვის სრულიად საქართველოს

კათალიკოს-პატრიარქ ილია II- ის მიერ დაჯილდოვდა მიტრის ტარების უფლებით.

2003 წელს, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნატერესის, ილია II-ის ბრძანებით, დეკანოზი გიორგი ზვიადაძე დაინიშნა საქართველოს საპატრიარქოს საქველმოქმედო ფონდ "ლაზარეს" გენერალურ დირექტორად.

2003 წლის 8 თებერვალს, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნატერესის, ილია II-ის ბრძანებით, დეკანოზი გიორგი ზვიადაძე დაინიშნა პატრიარქის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის – "სულიერების, მეცნიერების, კულტურის აღორძინება და განვითარება" – აღმასრულებელ მდივნად.

2003 წლიდან დეკანოზი გიორგი ზვიადაძე სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის მიერ დაინიშნა საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენლად ერთობლივ საერთაშორისო აკადემიურ დიალოგში მართლმადიდებელ ეკლესიასა და იუდაიზმს შორის.

2004 წელს დეკანოზმა გიორგი ზვიადაძემ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: წმ. გრიგოლ ნოსელის "ქალწულებისა და საღმრთოისა მოქალაქობისა" (ფილოლოგიურ-თეოლოგიური ანალიზი).

2004 წელს დეკანოზმა გიორგი ზვიადაძემ დაამთავრა თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტი ინგლისური ენის სპეციალობით.

2006 წელს დეკანოზმა გიორგი ზვიადაძემ დაამთავრა თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტის ინგლისური ენის სინქრონული თარგმანის უმაღლესი კურსები და მიენიჭა მთარგმნელ-თარჯიმნის კვალიფიკაცია.

2005 წელს, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი ილია II-ის ბრძანებით, დეკანოზი გიორგი ზვიადაძე დაინიშნა თბილისის სასულიერო აკადემიის საღვთისმეტყველო ინსტიტუტის პრორექტორად.

2005 წლიდან 2009 წლამდე კავკასიის უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციებს საეკლესიო სამართალში.

2006 წელს სრულიად საქართველოს პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, დეკანოზი გიორგი ზვიადაძე დაინიშნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ქრისტიანული თეოლოგიისა და რელიგიის ისტორიის კომისიის სწავლულ მდივნად.

2006 წლის 6 მაისს, წმინდა გიორგის ხსენების დღეს, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი ილია II-ის ბრძანებით, დეკანოზი გიორგი ზვიადაძე დაჯილდოვდა მეორე ჯვრის ტარების უფლებით და დაინიშნა ქვაშვეთის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის წინამძღვრად.

2008 წლის პირველ ოქტომბერს, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი ილია II-ის ბრძანებით, დეკანოზი გიორგი ზვიადაძე დადგენილ იქნა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პროტოპრესვიტერად და დაინიშნა სიონის ღვთისმშობლის მიძინების საპატრიარქო ტაძრის წინამძღვრის მოადგილედ (აღნიშნული ტაძრის წინამძღვარი თავად პატრიარქია).

2009 წელს დაასრულა საქართველოს უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების სკოლა და მიენიჭა საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის წოდება.

2009 წლის 23 ოქტომბერს პროტოპრესვიტერი გიორგი ზვიადაძე, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესის და უნატერესის, ილია II-ის ბრძანებით, დაინიშნა თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორად.

2009 წელს პროტოპრესვიტერმა გიორგი ზვიადაძემ ისრაელში გაიარა საერთაშორისო სემინარის კურსი „ადგილობრივი აქტივები საზოგადოებისთვის და ეკონომიკური განვითარება.“

2010 წლის 17 დეკემბერს, წმინდა ბარბარეს ხსენების დღეს, წმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის მიერ პროტოპრესვიტერი გიორგი ზვიადაძე ქართველი ერისა და ეკლესიის წინაშე გაწეული განსაკუთრებული ღვაწლისთვის დაჯილდოვდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთი - წმინდა გიორგის ოქროს ორდენით.

პროტოპრესვიტერი გიორგი ზვიადაძე დაჯილდოვებულია ანტიოქიის, იერუსალიმის, რუსეთის, საბერძნეთის, ჩეხეთისა და სლოვაკიის, უკრაინის ეკლესიათა ორდენებით და გამშვენებული ჯვრებით.

2013 წელს საქართველოს საპატრიარქოს სადისერტაციო კომისიის გადაწყვეტილებით პროტოპრესვიტერ გიორგი ზვიადაძეს მიენიჭა თეოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხი სადისერტაციო ნაშრომისათვის “წმინდა გრიგოლ ნოსელის სწავლება ქალწულების შესახებ”.

2014 წლიდან სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესის და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, პროტოპრესვიტერი გიორგი

ზვიადაძე დაინიშნა საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენლად ლუთერანულ ეკლესიასა და მართლმადიდებელ ეკლესიას შორის საღვთისმეტყველო დიალოგის ერთობლივ საერთაშორისო კომისიაში.

2014 წელს, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი ილია II-ის ლოცვა-კურთხევით და წმ. სინოდის გადაწყვეტილებით, პროტოპრესვიტერი გიორგი ზვიადაძე დაინიშნა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლად „ წმინდა და დიდი კრების“ მოსამზადებელ კომისიაში.

2015 წლიდან არის ”ბიბლეისტიკის” პედაგოგი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი ილია II-ის ლოცვა-კურთხევით და წმინდა სინოდის დადგენილებით (12.02.2016), პროტოპრესვიტერი გიორგი ზვიადაძე დაინიშნა მსოფლიო საზოგადოებრიობისადმი „წმინდა და დიდი კრების“ მიმართვის ტექსტის შემდგენელი სარედაქციო კომისიის წევრად.

2016 წელს 28 მაისს პროტოპრესვიტერი გიორგი ზვიადაძე დაჯილდოვდა დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის უწყებრივი მედლით.

2016 წლის 22 დეკემბერს, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით და წმინდა სინოდის გადაწყვეტილებით, პროტოპრესვიტერი გიორგი ზვიადაძე დაინიშნა 2016 წელს კრეტაზე გამართული „წმინდა და დიდი კრების“ დადგენილებების შემსწავლელი კომისიის წევრად.

2017 წლიდან პროტოპრესვიტერი გიორგი ზვიადაძე, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესის და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, დაინიშნა ევროპაში მართლმადიდებელ ეკლესიებსა და რომის კათოლიკური ეკლესიის ევროპელ ეპისკოპოსთა კონფერენციების საბჭოს შორის დიალოგში საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენლად.

პროტოპრესვიტერი გიორგი ზვიადაძე 2017 წელს ჩაირიცხა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის დოქტორანტურაში პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო-საგანმანათლებლო პროგრამის მიმართულებით, რომელიც დაამთავრა 2020 წელს.

2021 წლის 10 ნოემბერს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში პროტოპრესვიტერმა გიორგი ზვიადაძემ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე - „რელიგიური არასახელმწიფოებრივი აქტორების როლი საერთაშორისო

ურთიერთობათა პროცესებში: ცივილიზაციათა შეჯახების რეალიები გეოპოლიტიკური ტრანზიციის პირობებში“, რისთვისაც მიენიჭა პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხი.

2022 წლის 30 სექტემბერს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წინაშე გაწეული განსაკუთრებული დამსახურებისთვის პროტოპრესვიტერი გიორგი ზვიადაძე დაჯილდოვდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ოქროს მედლით“.

2024 წლის 10 სექტემბრიდან პროტოპრესვიტერი გიორგი ზვიადაძე დაინიშნა საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენლად ერთობლივ საღვთისმეტყველო კომისიაში აღმოსავლურ და ორიენტალურ ეკლესიებს შორის დიალოგისათვის.

პროტოპრესვიტერი გიორგი ზვიადაძე არის მრავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, აკადემიური გამოცემის რედაქტორი და კონსულტანტი.